12/02/2026

MES 6 26 0000155417

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
თარიღი: 29/01/2026
სხდომის დაწყების დრო: 12:00
დასრულების დრო: 12:45
საბჭოს თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე
საბჭოს მდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2026 წლის 29 იანვარს.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **სერგო ჭელიძე** - შპსსაქართველოსეროვნულუნივერსიტეტსეუ-სპროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **დავითლეშკაშელი**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოსმდივანი;**
3. **ზურაბორჯონიკიძე**-სსიპ- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი;
4. **მამუკახუსკივაძე-** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

5. **მიხეილგურგენიძე**-შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ასისტენტ - პროფესორი, სხდომის მდივანი;
6. **ლევანმიდოდაშვილი**- სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. **რიმაბერიაშვილი**- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
8. **კონსტანტინესირბილაძე**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **ნინო ჩინჩალაძე**-ა(ა)იპ-ფონდისსაერთაშორისოგანათლებისცენტრისაღმასრულებელი დირექტორი;
10. **ნათიაზედგინიძე** -სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
11. **ივანე ჯაგოდნიშვილი**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **სალომეკუჭუხიძე**- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **თათია მამრიკიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი"ბათუმი"

- ირინე იმერლიშვილი-რექტორი;
- გიორგი ცხვედიანი-ვიცე რექტორი;
- თეა მიქელაძე-ვიცე რექტორი;
- ანი ქვათაძე- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- თინათინ კორძახია- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ჰატიჯე პალტა-დეკანის მოადგილე

2. სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტი- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია:

- მურთაზ დევაძე, რექტორი;
- გელა ბაკურიძე, ადმინისტრაციის უფროსი;
- ლიკა ქათამაძე - მართვისა და განვითარების სისტემების ცენტრის უფროსი;
- რომან მამულაძე - განათლების ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურის მენეჯერი;
- გულად თხილაიშვილი - სასწავლო და სამეცნიერო ცენტრის უფროსი;
- ნინო კახიძე - ადამიანური რესურსებისა და იურიდიული უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- თეონა ძნელაძე - საგარეო ურთიერთობებისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

- მზია დიასამიძე - ნავიგაციის ფაკულტეტის დეკანი;
- საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი;
- მანუჩარ ლორია - ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი "ბათუმის“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების პროცესში ჩართული ექსპერტები:

- დავით სიხარულიძე(თავმჯდომარე) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი;
- სალომე ვორონოვი(წევრი) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი;
- დიანა მჭედლიშვილი(წევრი) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი;
- თამარ თხელიძე(წევრი, სტუდენტი) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი.

2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი "ბათუმის“ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების არაგეგმიური მონიტორინგში ჩართული ექსპერტები:

- სალომე ვორონოვი (თავმჯდომარე);

3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვაში ჩართული ექსპერტები:

- ეკა დევიძე;
- მამუკა ბენაშვილი
- ნინო ორაგველიძე

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 12:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, სერგო ჭელიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოსგანათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი "ბათუმის“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების განხილვა;
2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი "ბათუმის“ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
•არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი "ბათუმის“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების განხილვა;
2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი "ბათუმის“ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

სხდომის დაწყების დრო: 12:00

1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი "ბათუმის“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

•არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილე ბა და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
•არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ, აღნიშნა, რომ ვიზიტის მიზანი მოიცავდა უნივერსიტეტში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის დადგენას და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გადამოწმებას. სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამებზე იყო 980, აქედან აქტიური სტატუსის მქონე საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა არის 815, ხოლო აქტიური სტატუსის მქონე ადგილობრივი სტუდენტების - 36. უნივერსიტეტი გეგმავს გაზარდოს სტუდენტების ზღვრული რაოდენობა 1400-მდე. ვიზიტის ფარგლებში მოხდა დაინტერესებულ მხარეებთან

გასაუბრება, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და კლინიკების დათვალიერება და ასევე ექსპერტებმა დამატებით გამოითხოვეს დოკუმენტები, რომლის საფუძველზეც დაიწერა დასკვნა. ჯგუფმა შეაფასა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალები ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტის კონტექსტში. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ანალიზი განხორციელდა 3 ძირითადი მდგენელის საშუალებით. პირველი, რამდენად არის პროგრამაზე მოთხოვნა. მეორე, რამდენად უზრუნველყოფს დაწესებულება სტუდენტების გაზრ დილი რაოდენობის ხარისხიან მომსახურებას და მესამე, რა მომსახურებასაც სთავაზობს უნივერსიტეტი რამდენად შეესაბამება სტანდარტებს. პირველ საკითხთან მიმართებით, გასაუბ რებიდან და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი განაცხადების ანალიზიდან გამოვლინდა, რომ პროგრამაზე მოთხოვნა არის. მეორე მდგენელთან დაკავშირებით განხორციელდა რაოდენობრივი ანალიზი დაწესებულების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის პარამეტრები ს საშუალებით, როგორიც არის სააუდიტორო რესურსები, საგამოცდო ცენტრისა და ბიბლიოთეკის რესურსები, ასევე მოხდა პერსონალისა და კლინიკური რესურსების ანალიზი. ა ღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე დადგინდა, რომ არსებული რესურსებით, უნივერსიტეტ ის ფაქტობრივი შესაძლებლობა დაახლოებით შეადგენს 1180-1200 სტუდენტის მომსახურებას მედიცინის პროგრამებზე, დამატებით 80-100 სტუდენტი სამაგისტრო პროგრამაზე, რაც ჯამში 1280-1300 სტუდენტია. რაც შეეხება 1400 სტუდენტამდე გაზრდის საკითხს, ამ კუთხით უნდა მ ოხდეს გარკვეული ინფრასტრუქტურული ღონისძიებები და აკადემიური პერსონალის გაფართოება. უნივერსიტეტს ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კადრების მოზიდვის კუთხით გეგმა შემუშავებული აქვს, ხოლო კონტინგენტის 1400-მდე გაზრდას ისინი გეგმავენ ეტაპობრივად 3 წლის განმავლობაში. ამ ანალიზიდან გამომდინარე განისაზღვრა რამდენიმე რეკომენდაცია.
პირველი ეხება საგამოცდო ცენტრისათვის 20-30 კომპიუტერის დამატებას, ასევე რეკომენდებულია, სამედიცინო პროგრამის 1250 სტუდენტისთვის უზრუნველყოფილი უნდა იქნას სალექციო და სასემინარო სააუდიტორიო სივრცე. მესამე რეკომენდაცია ეხება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას. უნდა გაძლიერდეს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები, მეოთხე რეკომენდაცია ეხება სტუდენტებისათვის სისტემატურად ინფორმირება ისეთი საკითხების შესახებ, როგორიც არის ეთიკა, აკადემიური კეთილსინდისიერება, პლაგიატი, მისი პრევენცია და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების წესები. ბოლო, მეხუთე რეკომენდაცია კი ეხება ვებგვერდზე ისეთი ინფორმაციის განთავსებას, როგორიც არის პროგრამების კატალოგი, სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ მოსალოდნელი კომპეტენციები და მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და ასევე, დასრულებული და მიმდინარე სამეცნიერო კვლევითი პროექტების მონაცემები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჩინჩალაძემ დასვა კითხვა უცხოელი სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა, თუ რა პრინციპით ხდება მათი დაწესებულებაში მიღება/ჩარიცხვა. მან ასევე აღნიშნა რომ, როგორც მისთვის ცნობილია, უმრავლესობა სტუდენტებისა დაწესებულებაში საერთაშორისო სტუდენტებს წარმოადგენენ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თამარ თხელიძემ უპასუხა კითხვას და აღნიშნა რომ დაინტერესებულ აპლიკანტებს შესაძლებლობა აქვთ ვებ-გვერდის საშუალებით სასურველ პროგრამაზე გააკეთონ განაცხადი. მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, განათლების აღიარების, გასაუბრებისა და საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის იმ შიდა რეგულაციების გავლის შემდეგ, მაგალითად დარგობრივი გასაუბრება, ასევე ინგლისურის გამოცდა, ეს იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი არ ფლობს შესაბამისი დონის დამადასტურებელ დოკუმენტს და ყველა ზემოაღნიშნული პროცედურების გავლის შემდეგ აპლიკანტს შესაძლებლობა აქვს ჩაირიცხოს უნივერსიტეტში, სასურველ პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რესურსების ზრდა მიმდინარეობს რამდენიმე წელია და ეს არის უწყვეტი პროცესი. პროფესორების რაოდენობა ბოლო წლის განმავლობაში 100%-ზე მეტად გაიზარდა, 27 პროფესორიდან 60 პროფესორამდე ავიდა ბოლო 1.5 წელში. ასევე გრძელდება ეს პროცესი და სრულად დააკმაყოფილებს კარგი პრაქტიკის ყველა სამიზნე ნიშნულს. ამ ქვოტის სრულად შევსების შემთვევაში უნივერსიტეტის კორპუსი ავა 70 პროფესორამდე, რაც კარგ პრაქტიკებს შეესაბამება. უნივერსიტეტმა გააფართოვა კლინიკური რესურსიც და ის ხელმისაწვდომია სრული კოჰორტისვის. დანარჩენი რეკომენდაციები დაწესებულებისთვის მისაღებია. სააუდიტორიო რესურსის კალკულაცია მოხდა უნივერსიტეტში არსებული სასემინარო და სალექციო სივრცეებით, თუმცა უნივერსიტეტს აქვს საშუალება გამოიყენოს პარტნიორი აფილირებული კლინიკების სივრცეებიც, რომელიც 30-40% შეადგენს. ეს კალკულაციაში არ შეუტანია დაწესებულებას, რადგან ამის საჭიროება არ იყო, თუმცა მდგრადობის უზრუნველსაყოფად დამატებით შესაძლებელია ამ რესურსების გამოყენება, რომლის შესახებაც აღნიშნულია თანამშრომლობის ხელშეკრულებებში. ინსტიტუციის საერთაშორისო ბაზარზე არის ცნობილი, ამიტომ უცხოელ სტუდენტთა მიმართვიანობა არის მუდმივი, მყარი და მზარდი, თუმცა უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული ქართველი სტუდენტების მხარდაჭერაშიც. არის 2 ახალი სამაგისტრო პროგრამა გახსნილი, რომელიც ქართულენოვანია, სადაც სუბსიდირებულია სტუდენტთა არანაკლებ 30 %-ისა. ამასთან, არსებობს ქართველი სტუდენტების სუფსიდირებაც, რომლებსაც აქვთ საკმაოდ კარგი აკადემიური შედეგები. კურსდამთავრებულები კი წარმატებულ კლინიკურ საქმიანობას ნაწილი საქართველოში და ნაწილი საზღვარგარეთ, მათ შორის დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაში.

ირინე იმერლიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სიამოვნებით ელოდება ყველა ქართველ სტუდენტს. უცხოელი სტუდენტების უმეტესობა გამოიწვია იმან, რომ პროგრამა არის ინგლისუ რენივანი და მხოლოდ ახლა მიიღო ინსტიტუციამ აკრედიტირება ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამებზე ქართველი სტუდენტების მოზიდვის მიზნით.
ნინო ჩინჩალაძემ აღნიშნა, რომ ქართველი სტუდენტების მიზიდვისთვის საჭიროა რეკრუტირე ბის პოლიტიკა საქართველოში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა, აღნიშნა, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში დაწესებულება ატარებს ღია კარის დღე როგორც უნივერსიტეტში, ასევე საქართველოს სხვა ქალაქებშიც, მათ შორის, ქუთაისსა და ზუგდიდში. საქმე ისაა, რომ 70%-იანი ბარიერი ბიოსამედიცინო საგნებზე არის დამაბრკოლებელი ქართველი სტუდენტებისთვის. პროგრამაზე ჩარიცხულ ქართველ სტუდენტებს აქვთ საუკეთესო შედეგები. ამასთან, ქართველ სტუდენტებს აქვთ დაწესებულებისგან ფინანსური ხელშეწყობა, ისინი, ვინც სტომატოლოგიასა და სამედიცონოზე სწავლობენ თვითღირებულებაზე დაბალ ფასად აქვთ სწალის შესაძლებლობ ა.

საბჭოს თავმჯდომარემ, სერგო ჭელიძემ ექსპერტებს მიმართა კითხვით. რეკომენდაციებში არის ჩანაწერი, სადაც რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების სისტემური ინფორმირება ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების წესებზე. მას აინტერესებდა რეკომენდაციის გაცემის მიზეზი.
დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტებმა ბუნდოვნად იციან აღნიშნული საკითხები.
სერგო ჭელიძეს აინტერესებდა, თუ რამდენად კარგად იცოდნენ ინგლისური ენა სტუდენტება ი მისთვის, რომ თავისუფლათ შეძლებოდათ მასალის დაძლევა.
დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ნორმალურზე უკეთესად ფლობენ სტუდენტები ინგლისური ენას.

სერგო ჭელიძეს აინტერესებდა მსურველებიდან რამდენი პროცენტი ირიცხებოდა პროგრამაზე ინგლისრული ენის გამოცდის შემდეგ.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძირითადად მომართვიანობა არის ინგლისურენოვანი კოლეჯებიდან ან სკოლებიდან. ინტერვიუების დროსაც იფილტრება. ძირითადად, მომართვის დროს სტუდენტმა იცის პირობები, ამიტომ პროცენტულად დაბალია ჩაჭრის ფაქტები.
თეა მიქელაძემ აღნიშნა, რომ სტუდენტების 99% ამ გამოცდებს აბარებს, რადგან გამოცდამდე ხდება გასაუბრება, რეკრუტირებას ხელმძღვანელები იქვე ახდენენ და თუ სტუდენტი ვერ საუბრობს გამართულად ინგლისური ენის გამოცდაზე არ გადის. გამოცდა არის B2 დონის და ო რეტაპიანია გასაუბრება. თუ პირველი ეტაპი გადალახა და მეორე ვერ, გამოცდაზე ვერ გავა. დაწესებულება მანამდე ფილტრავს სტუდენტებს. შესაბამისად, გამოცდებში ჩაჭრის პროცენტი მინიმუმამდეა დასული.
კოტე სირბილაძემ დაწესებულებას მიმართა კითხვით. მას აინტერესებდა პროცენტულად რამდ ენი აფილირებული პრობესორია, რომელიც მხოლოდ დაწესებულებას ემსახურება და ფლობს თუ არა ინსტიტუცია ინფორმაციას თუ რამდენად არიან დაკავებულნი სხვა უნივერსიტეტებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამის რეგულირება უნივერსიტეტისთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი. 60 პროფესორიდან 49 არის A კონტრაქტზე, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის დატვირთვას და სხვა უნივერსიტეტებში დატვირთვის ლიმიტს, რომელიც ამის ნახევარსაც არ უნდა შეადგენდეს ჯამში. ამას დაწესებულება აკონტროლებს. მასთან დაკავშირებით იყო პრობლემები, რადგან რთული ამღოჩნდა ამგვარ პირობებზე პერსონალის დათანხმება, თუმცა ფინანსური, ორგანიზაციული და სხვა რესურსების მხარდაჭერით შეძლო ინსტიტუციამ ამ შეთანხემბის მიღწევა.
რიმა ბერიშვილმა აღნიშნა, რომ კლინიკური და საუნივერისტეტო დატვირთვები უნდა გაიმჯნ ულიყო. ცუდია თუ პერსონალს ბევრ უნივერსიტეტში აქვს დატვირთვა, თუმცა კლინიკაში საქმიანობა, როცა კლინიკურ სფეროს ასწავლის, აუცილებელია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საუბარი იყო იმ პროფესორებზე, რომლებიც არიან ექიმები, კლინიცისტები ბაოს აფილირებულ კლინიკაში. უნივერსიტეტი აბალანსებს მათ კლინიკურ და სალექციო დატვირთვას. რაც შეეხება საექიმო საქმიანობის სერთიფიკატს, ეს ძალიან დიდი გამოწვევა იყო უნივერსიტეტისთვის, რადგან რთული იყო სამწლიანი კლინიკური სტაჟის მქონე კადრის მოძიება. თუმცა ამ ეტაპზე უზრუნველყოფილია დაწესებულება აღნიშნული კომპეტენციის მქონე პერსონალით.
ნინო ჩინჩალაძეს აინტერესებდა პერსონალი ადგილობრივი იყო, თუ სხვა ქალაქებიდან მოწვეული.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თბილისიდან მხოლოდ 10 აკადემიური პერსონალია და უმეტესობა არის ბათუმიდან.
ანი ქვათაძემ აღნიშნა, რომ კანონთან შესაბამისად კლინიკური პერსონალი უნდა ფლობდეს ამ სერთიფიკატს და აქედან გამომდინარე, ყველა ის აკადემიური პერსონალი, რომელიც კლინიკური მიმართულებით არის არჩეული ფლობს აღნიშნულ სერთიფიკატს.

დაწყების დრო: 12:24
დასრულების დრო: 12:29

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი "ბათუმის“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა ზე უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმს უარი ეთქვას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე.

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, 90-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 91-ე მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმს უარი ეთქვას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე წევრებს განუმარტა გადაწყვეტილების შინაარსი, რომელიც საბჭომ ერთხმად მიიღო და დასძინა რომ დაწესებულების მხრიდან უნდა გაგრძელდეს მუშაობა უნივერსიტეტის განვითარებაზე, შესრულდეს ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ამჟამად დარჩეს არსებული 980 სტუდენტი.

2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი "ბათუმის“ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
•არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილე ბა და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
•არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
სალომე ვორონოვმა აღნიშნა, რომ გაცემული იყო 12 რეკომენდაცია მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-7 სტანდარტებთან მიმართებით და ექსპერტების მოსაზრებით, ყველა რეკომენდაცია იქნა შესრულებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს კითხვები არ ჰქონდა.

დაწყების დრო: 12:34
დასრულების დრო: 12:37

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტ ის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდა შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი „ბათუმის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
•არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილე ბა და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
•არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ეკა დევიძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები მოიცავდა ხარისხის უზრუნველყოფისა და პერსონალის ჩართულობის გაძლიერებას, პროგრამებების შრომის ბაზრებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისგან უკუკავშირის შედეგად მიღებული შედეგების მიხდევით ქმედითი ღონისძებების გატარებას და ასევე აკადემიური ხარისხის დაბალანსებას, ინფარსტრუქტურის გაუმჯობესებას, კვლევითი საქმიანობის დაფინანსებასა და ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებას როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სტანდარტები: 1, 2, 3, 4, 6 და 7; ქვესტანდარტები: 1.2, 2.2, 3.1, 3.2, 4.1, 4.2, 6.3, 7.1, 7.3, 7.4. დსაწესებულების მიერ გათვალისწინებულია ყველა რეკომენდაცის, წარმოდგენილი სტანდარტები და ქვესტანდარტები შესაბამისოაბშია მოთხოვნებთან.
ნინო ორგველიძემ აღნიშნა რომ თანამშრომლებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან იყო მონდომება, მზაობა და ღიაობა რეკომენდაციებისადმი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
რომან მამულაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ გატარდა ღონისძიებები. ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით დროულად იქნა წარ მოდგენილი ერთწლიანი ანგარიში, რომლის საფუძველზეც ჩაინიშნა ექსპერტთა ვიზიტი, რომელიც წარიმართა კოლეგიალურ გარემოში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ შეჩერებული სტუდენტების რაოდენობა არის 545. მას აინტერესებდა ამის ძირითადი მიზეზი.
რომან მამულაძემ აღნიშნა, რომ ძირითად ეს დამოკიდებულია უნივერსიტეტის გატარებულ პოლიტიკაზე. სტუდენტების დიდი ნაწილი სწავლის პერიოდში მიემგზავრება რეისში თავისი პროფესიული საქმიანობის თვალსაზრისით და აქედან გამომდინარე მათ უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი.
ნინო ჩინჩალაძეს აინტერესებდა დასაქმების ინდექსი საზღვაო საქმეში.
რომან მამულაძემ აღნიშნა, რომ ინდექსი მაღალია, მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება. უნიე ვრსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევებით ეს მაჩვენებელი არის 80%-ზე მაღალი.

დაწყების დრო: 12:41
დასრულების დრო: 12:44

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით ცენტრში წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 79[1]-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 2026 წლის 29 იანვარს 12:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო